ილუსტრირებული საპოლიტიკო, საშეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 15 31 აგვისტო 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი იხილეთ მე-16 გვერდზე.

ილია ჭავჭავაძე

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ დღეს, აგვისტოს 31, **მთაწმინდაზე** გადასდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

31 აგვისტოს

დღეს სრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას კიდით-კიდემდე ელვის სისწრაფით ეცნო თავზარ დამცემი, გულის გამგმირავი, შეშაძრწუნებელი ამბავი... დღეს წლისთავი არის ჩვენი სასტიკი ბედ-შაობისა, გათახსირებისა, წლისთავია ჩვენი ხალხი საუკეთესო და საოცნი გრძნობების უღვთოთ, ბარბაროსულათ შეურაცყოფისა და ფეხ-ქვეშ გათელვისა. დღეს სრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის სასიქადულო და სათაყვანო შვილს ცხელი ტყვიებით გაუგმირეს მცხოვანი შუბლი, ზეგარდმო მადლით ცხებული შუბლი! მოჰკლეს... ილია ჭავჭავაძე

მოჰკლეს!.. ერთი წლის შემდეგ ეს ამბავი კვლავ გიჟურ ფანტაზიათ გვესახება... არა, არაფერი არ იპატიეს!.. დავკარგეთ, სამარადისოთ დავკარგეთ!.. დაიმსხვრა ღვთიური ჩანგი, რომელიც გულ-გონების მომჯადოებელ ხმებით უგალობდა დაჩაგრულთა და დავრდომილთა განკაცება-გაადამიანებას, ვაჟკაცურის ძალ-გულოვნებით ეკვეთებოდა ბედ-შავი ხალხის ეროვნულ და კლასიურ ჩაგვრა-მონობას, უებრო მშვენიერებით უგალობდა შრომის სუფევას, თავისუფლებას, შეგვაყვარებდა ძმობა-ერთობას, თანასწორობას!.. აღარა გვყავს ის ადამიანი, რომელიც მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში თავისი მხრებით გოლიათურათ წინ ეწეოდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებას და გასალ-კლდევებულ ბურჯათ ედგა ჩვენს ნაციონალურ თვითარსებობას. აღარა გვყავს უდიდესი, სწორუპოვარი მოჭირნახულე და მოამაგე, ქართველი ერის დიდება და სიამაყე!.. დავკარგეთ, სამარადისოთ დავკარგეთ!.. „სამშობლოს ცასა ბნელათ გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“..

არის უბედურება, რომელსაც არ ეკარება არავითარი ნუგეშინის ცემა. მაგრამ თვით დიდებულ მგოსნის სამარადისო ხსოვნა გვავალებს მწარე სინამდვილეს გაბედულათ თვალი თვალში გაუყაროთ და ცხოვრების იმპერატიულ მოთხოვნებს სათანადო ანგარიში გაუწიოთ. ჩვენშივე მოჰკლეს ჩვენი ნაციონალურ კულტურის განძეულობათა საუკეთესო შემოქმედი. მაგრამ უძვირფასეს საუნჯეთა სალაროს თავის ხელითვე არავინ დაამსხვრევს თუკი ერთიანათ დაბრმავებული არ არის, და აკი მგოსნის ჯალათებმაც თავის გულ-გონების სიბნელესა და უმეცრება-გათახსირებაში გამოსჭედეს სასიკვდილო იარაღი. კლასიურ საზოგადოებაში ნაციონალურ კულტურის მფლობელი და მესაკუთრე არ არის მთელი ნაცია, ყველანი არ არიან მისი თანასწორი მოსარგებლე, მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო კიდევ გაუკულმართებულია დაჩაგრულ ერში. ჩვენ არამც თუ მოკლებული ვართ დღეს უძლიერეს, სახელმწიფოებრივ საშვალებებს ნაციონალურ სწავალა-განათლების გასავრცელებლათ, ჩვენ ძალით გვიხურავენ სკოლებს, ძალით გვგლეჯავენ სამშობლო ენას. მუშა ხალხისათვის კი ასამაღლებლათ და უკეთესი მერმისის დასაჰლოებლათ გზა და ხიდი არის სწორეთ ნაციონალური სკოლა. დღეს დღეობით ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა გარდა კერძო და კერძო-საზოგადოებრივ თაოსნობა-თვითმოქმედებისა. საჭიროა მთელის მხნეობით აქეთ მივმართავდეთ ჩვენს ძალ-ღონეს. უკვე არსებობს ილიას სახელობის ფონდი განმანათლებელ მიზნებისათვის. საჭიროა ჩვენი საზოგადოება და ხალხი მეტის უნარით, მეტის ხალისითბეჯითობით და სისტემატიურათ შეავსებდეს ამ ფონდს, რომლის ერთათ ერთი დანიშნულება უნდა იყოს პირველ დაწყებითი ნაციონალურ სწავალა-განათლების გავრცელება. რამდენათაც მაღლა ავიწევთ კულტურულათ, იმდენათ ჩვენს ქვეყანაში უფრო გაციკროვნდება დაუვიწყარ მგოსნის ხსოვნა, იმდენათ იგი უფრო მეტის სხივოსნობით იქნება ანთებული ჩვენი ხალხის გულ-გონებაში!

ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე.

——

რა არის პოეზია? ფიქრის, გრძნობისა და აზრის მწყობრათ შედეგება და მშვენიერების სახით მათი გამოხატვა. ამ საზომით თუ გავზომავთ ილ. ჭავჭავაძის პოეზიას, დავრწმუნდებით, რომ ილ. ჭავჭავაძე უდიდესი პოეტია საკაცობრიო აზრებით, საკაცობრიო გრძნობითა და იდეალებით გამსჭვალული.

მისი პოეზია დაუშრეტელი წყაროა ღრმა აზრისა, ღრმა გრძნობისა და დიადი მისწრაფებისა. შესაძლებელია, სხვა და სხვა აზრი არსებობდეს ილ. ჭავჭავაძის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ პოეტი ილ. ჭავჭავაძის შესახებ მხოლოთ ერთათ ერთი აზრია შესაძლებელი და ჭეშმარიტი: ილ. ჭავჭავაძე დიდებული პოეტი იყო და დიდებულ პოეტათვე დარჩება მარად, როგორც პოეტი, ილ. ჭავჭავაძე უკვდავია.

„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა,— ქვეყნისა არის, ჯერ ქვეყანა“-ო, სწერს ილია ერთ ალაგას და ეს აზრი მას თავიდანვე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ ხანებში ილ. ჭავჭავაძე მცირეოდნათ ჰბაძავს ძველ მწერლებს. სევდა, უკმაყოფილება და ღრმა სიყვარული მამულისადმი,— აი რასა ვხედავთ პოეტის პირველ ლექსებში. პოეტი თუმცა ამაყობს ჩვენი წარსულით, მაგრამ იდეალს ის ეძებს მომავალში და არა წარსულში; პოეტი უკან კი არ იხედება, ის წინ მიისწრაფის.

მას ნუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანოქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებაზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდგოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეოთბადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ახალგაზრდა პოეტის ძლიერი სურვილია—წინ წაუძღვეს თავის ერს, მასთან იყოს ჭმუნვასა და სიხარულში, მისი წყლული თვის საკუთარ წყლულათ მიიჩნიოს, მისი ტანჯვით სული დაეტანჯოს და შესძლოს, მოწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი. დიადი საკაცობრიო გრძნობები, ბედისაგან დაჩაგრულთა სიყვარული, მათი ტვირთის შემსუბუქებისათვის ზრუნვა და მათი ცხოვრების გაუმჯობესების წყურვილი,—აი რა ახასიათებს პირველი სტრიქონიდანვე ილ. ჭავჭავაძის პოეზიას. ერის დაჩაგრულ ნაწილს ჩვენს პოეზიაში არა ჰყოლია უკეთესი ჭირისუფალი; ერის დაჩაგრული ნაწილისადმი ჩვენს პოეზიაში ილიაზე ღრმათ, ილიაზე მძლავრათ არავის გამოუთქვამს თავისი თანაგრძნობა და სიყვარული.

ჰაცო, გიუვარდეს!
ცა შთამომძახეს,
რაზ მათ დამბადეს.
ეველკან ;ს სიტუვა
დამბრათ წინ მიმეკ,ა...

და მართლაც პოეტის ნაწერებში უხვათ არის გა-

ბნეული სიყვარული დაჩაგრულთადმი და ღრმა რწმენა, რომ მომავალი მათია.

იმ დროს, როცა ახალგაზრდა პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ყველაზე უფრო დაჩაგრული ჩვენში ყმა იყო, ერის უპირველეს წყლულს ბატონყმობა წარმოადგენდა; ერის ტანჯვის სათავე ბატონყმობიდან იწყებოდა და პოეტმაც ძლიერი იერიში მიიტანა ბატონყმობაზე. „მესმის-მესმის“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი“ სრული უარყოფა და გმობაა ბატონყმობისა. პოეტს ბატონყმობა მიაჩნია უსამართლობათ, მონობათ და მისი ბორკილის დამტვრევის ხმა მისთვის სანატრელი ხმაა.

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმ. ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

პოეტი მტერია ყოველგვარი უსამართლობისა და ძალმომრეობის, ის შენატრის ძმობას, ერთობას, სიყვარულსა და თავისუფლებას. კაკო ყაჩაღის პიროვნება მთელ პროპაგანდას წარმოადგენს ბატონყმობის წინააღმდეგ,—პროპაგანდას სასტიკს, ძლიერს, შეუბრალებელს, უკომპრომისსოს. ახალგაზრდა პოეტის სული და გული ყმისაკენ არის მხოლოთ. პოეტის „უძლიერესი ნდობა—ოცნებად გადაქცეული“ ბატონყმობის დამხობა და შრომის განთავისუფლება.

პოეტი მტერია მარტო ბატონყმობისა კი არა, წოდებრივი წყობილებისაც,— მისი იდეალია ისეთი ცხოვრება, საცა არავითარი წოდებები არ არსებობენ, არამედ ყველა ტოლია და თანასწორი. პოეტი დარწმუნებულია, რომ წოდებრივი წყობილება საზოგადოებრივი ცხოვრების სამარადისო, გარდუვალი სახე კი არ არის, არამედ ერთ-ერთი საფეხურია ისტორიული განვითარებისა და ადრე თუ გვიან უნდა მოისპოს. პოეტის შეხედულებით მომავალი წყობილება და საზოგადოებრივი ურთიერთობა ერთიანათ შრომაზე იქნება დამყარებული და ამიტომ ღრმათ დარწმუნებული ამხნევებს შრომის შვილს:

მეობობადი მარტო შენია.

ასეთ მყობადში პოეტის წარმოდგენით არც უფროსი იქნება, არც უმცროსი, არც ბატონი, არც მონა, არამედ სრული თანასწორობა იქნება, კეთილდღეობა და ბედნიერება. ასეთ ხანას სრული თანასწორობისა და თავისუფლებისას პოეტი უწოდებს „შრომის სუფევას“. პოეტის შეხედულებით სამართლიანობა და სიმართლე, კაცთ მოყვარეობა და სათნოება მხოლოთ მაშინ აღარ ივლიან ეკლის გვირგვინით, როდესაც საზოგადოებაში ყოველისფერი მხოლოთ შრომაზე იქნება დამყარებული.

პოეტმა პირველი ნაბიჯითვე გვამცნო, რომ მთელი მისი სიყვარული და თანაგრძნობა, მთელი მისი სული და გული, მთელი მისი არსება შრომის შვილებისაკენ იყო. მას გულრწფელათ და მძლავრათ უყვარდა ეს შრომის შვილები და სწამდა კიდეც, რომ მომავალი მათ ეკუთვნოდა. სხვანაირათ ვერც მოიქცეოდა ის, ვისაც ისე ესმოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, როგორც ილია ჭავჭავაძეს.

გადაიკითხეთ პოეტის „მგზავრის წერილები“ და ჰკითხეთ თქვენს თავს, თუ რათ უყვარს პოეტს მყინვარზე უფრო თერგი. იმიტომ რომ მყინვარი განზე გამდგარა, მიუკარებელია, თერგი კი მუდამ მოძრავია, მუდამ იბრძვის და აგონებს ავტორს ადამიანის ცხოვრებას. პოეტის შეხედულებით ცხოვრებაც იგივე ბრძოლაა. პოეტსა სწამს, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ვინ არის ეს მოძრავი ელემენტი საზოგადოებაში? იქნება გაბატონებული ნაწილი? აი რასა სწერდა პოეტი ამ ნაწილის შესახებ:

რად შეებრძვის ის ბორტებასა,
რას მოხებით მისი თვით რჩება?

მაშ ვინ იბრძვის პოეტის აზრით ცხოვრების გაუმჯობესებისათვის? „ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა,“ სწერს პოეტი მგზავრის წერილებში. ეს სიტყვები მთელი ფილოსოფიაა ისტორიული განვითარებისა. პოეტის მთელი სიმპატია იყო ეგრეთ წოდებული დაბალი ანუ მშრომელი ხალხისაკენ, შრომის შვილისაკენ ერთის მხრით იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი დაჩაგრულია და პოეტი კი ყველა დაჩაგრულის მოსარჩლეა,—მეორეს მხრით იმიტომ, რომ პოეტის შეხედულებით წინმსვლელობის გზაზე ცხოვრება მხოლოთ მშრომელ ხალხს მიჰყავს, მხოლოთ ძირიდამ შენდება ცხოვრება და არა მაღლიდამ.

პოეტის მისწრაფებანი, პოეტის იდეალები, მისი მსოფლიო შეხედულება უკიდურესათ დემოკრატიული იყო და მაშინ, როდესაც ჩვენში ბატონყმობა პარპაშობდა, პოეტმა მაღლა ააფრიალა დემოკრატიული დროშა და მედგრათ დასძახა: ძირს ბატონყმობა, ძირს მონობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო. მაშინ როდესაც წოდებრივი წყობილება მტკიცეთ იყო დაცული, პოეტმა გამოაცხადა: წოდებრივი წყობილება უნდა მოისპოს და უნდა მოვიდეს „შრომის სუფევაო“. პოეტი უარჰყოფს ბრწყინვალე წოდებას და მიმართავს შრომის შვილთ: იბრძოლეთ, მომავალი თქვენია, თქვენის კეთილდღეობის ქვაკუთხედის აშენება მხოლოთ თქვენ შეგიძლიათო.

გადაიკითხეთ „კაკო ყაჩაღი“ და „კაცია ადამიანი“, მოიგონეთ პოეტის გესლიანი სიტყვები: თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო, და მაშინ დარწმუნდებით, რომ ჩვენს მწერლობაში არავის არ მიუტანია ისეთი იერიში ბრწყინვალე წოდებაზე, როგორც ილ. ჭავჭავაძემ მიიტანა თავის პოეტურ ნაწერებში. მართალია, პუბლიცისტურ ნაწერებში ილ. ჭავჭავაძე ცდილობდა ზოგჯერ იმ გავლენის შესუსტებას, რასაც მისი პოეზია ახდენდა, მაგრამ ეს ნაკლია თვითონ ილ. ჭავჭავაძისა და არა მისი პოეზიისა, რომელშიაც ყოველი სიტყვა ღრმა აზროვანია და ყოველი აზრი ფილოსოფიურია. პოეტის

ძლიერება გამოიხატება ზომიერებაში, ღრმა გრძნობაში, დიად აზრებში და ფსიხოლოგიურ ანალიზში. მისი ყოველი თხზულება საუცხოო ნიმუშია იმისი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიტყვა-კაზმული ნაწარმოები. ამდენათ შემუშავებულ ნიმუშებს ქართულს ენაზე ძალიან ცოტას ნახავთ. ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის: არც გამოკლება შეიძლება, არც ჩამატება. ავტორს საუცხოოთ ეხერხება იმის გამოხატვა, რასაცა ჰხედავს, გრძნობს და ჰფიქრობს, ამიტომ ყოველი მისი აზრი გულის სიღრმეში სწვდება მკითხველს.

სამწერლო ასპარეზზე პოეტი გამოვიდა მესამოცე წლებში, როცა ჩვენს ცხოვრებაში მონობისა და ღრმა ძილის მეტი არაფერი არსებობდა. გულწრფელი სურვილებითა და მისწრაფებით-გატაცებული, ღრმა გრძნობით, დიადი აზრებითა და ჭეშმარიტი მსოფლიო შეხედულებით აღჭურვილი პოეტი შეუდგა ცხოვრების გამოღვიძებასა და გარდაქმნას. მას არ დაუტოვებია ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი ცუდი მხარე, რომელიც მას არ გაეკიცხოს შეუბრალებელის სატირით და სასტიკის იუმორით. სამაგიეროთ რაც იყო კარგი და დროის შესაფერისი, იქითკენ მიაქანებდა პოეტი ცხოვრებას მთელი თავისი ძალღონით. ის სდევნიდა ყოველგვარ ბოროტებას, თესდა სიკეთეს, სამართლიანობას, კაცთმოყვარეობასა და სათნოებას, გულწრფელი, თავგამოდებული და შეგნებული მოსარჩლე იყო „ბედისაგან დაჩაგრულთა“ და მტკიცეთ იცავდა მათს ინტერესებს. მიუხედავათ წარსულის ღრმა სიყვარულისა პოეტი არა სტიროდა მას, „რაც დამარხულა“; მისი იდეალი მომავალში იყო და აწმყოს გაუჯობესებით ის ხალხის ამ მომავალის აშენებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ილ. ჭავჭავაძე საუკეთესო მებრძოლი იყო უკეთესი მომავალისათვის, ის თავგამოდებული ქომაგი იყო ბედისაგან დაჩაგრულების, ის იყო მშრომელი ხალხის უდიდესი პოეტი ფილოსოფოსი და ქართული ხელოვნების პირველ ხარისხოვანი ეარსკვლავი.

ივ. გომართელი.



გზა-და-გზა.

II

ფართო თვითმართველობა თუ ავტონომია?

ამხ. ჩხენკელი უარჰყოფს ავტონომიას და იცავს ფართო თვითმართველობას, მაგრამ იმავ დროს ემხრობა ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას და ვაურბის ყოველ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას. წინა წერილში უკვე დავინახეთ, რომ ნაც.-კულტ. ავტონომია—თუ კი მას წესიერათ გავიგებთ—არა თავსდება თვითმართველობის (ადმინისტრატიულის) ფარგლებში, აღემატება ამის ადგილობრივ საზღვრებს, კომპეტენციას, რადგან იგი ეხეწნავს კულტურულ საკითხებისათვის სახელმწიფო ფუნქციების გადმოტანას ცენტრალურ პარლამენტიდან ადგილობრივ, ნაციონალურ პარლამენტში. ნაც.-კულტ. ავტონომია—როგორც აღვნიშნეთ იმავ წერილში—მხოლოთ ნაწილია მთელისა—სრული ავტონომიისა, რომელიც ნიშნავს სრულ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას. ეხლა უნდა გავიგოთ—რუსეთში ნაციონალურ საკითხის გადასაჭრელათ საკმარისია თუ არა მხოლოთ ნაც.-კულტ. ავტონომია?

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ თუ რას ნიშნავს ნაციის სულიერი კულტურა, და ან ამ უკანასკნელით თავდება თუ არა „ეროვნული ასპარეზი“. როგორც ეტყობა, ფიქრობს ამხ ჩხენკელი, სულიერი კულტურა აღებულ შემთხვევაში, ნიშნავს სწავლა-განათლების საქმეს, მეცნიერება-ხელოვნებას და სხ. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ საზოგადოთ, ადამიანთა სულიერ ცხოვრებას ასაზრდოვებს ნივთიერი ცხოვრება, მთელი სოციალ-ეკონომიური ვითარება, რომელშიაც ეს ადამიანები იმყოფებიან. უკანასკნელი პირველის სათავე არის, და თუ მდინარეს სათავე შეუკარით, იგი ჯერ საცოდავათ მოწანწკარებს და ბოლოს სრულიადაც შრება. ასევე არის ადამიანთა საზოგადოებაშიც. აქ სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების კალაპოტია სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სხ. კანონები, რომელიც უნდა იცვლებოდეს იმის დაგვარათ, როგორც იცვლება თვითონ ცხოვრების მიმდინარეობა. და თუ რომელიმე ნაცია თუ ნაციები აღნიშნულ სფერაში მოკლებულნი არიან კანონმდებლობის უფლებას, ცხადია ისინი **იჩაგრებიან ნაციონალურათ** და მაშინაც კი თუნდ ყველა ნაციის ადამიანები გათანასწორებულნი იყვნენ კანონის წინაშე, ე. ი. არც არავინ იყოს კანონს გარეშე დატოვებული და არც არავისთვის არსებობდეს „განსაკუთრებული კანონები“. გამონაკლისს შეადგენს მხოლოთ ერთი შემთხვევა, როცა სახელმწიფო, სადაც მოსახლეობს რამდენიმე ნაცია, უკვე გაერთიანებულია სოციალ-ეკონომიურათ და ყველა მის კუთხეში დაახლოებით ერთნაირის ტემპით (სიჩქარის დონეთი) სწარმოებს განვითარება. ჩვენის აზრით, ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს ავსტრია; ამასთანავე, იქ სხვა და სხვა ნაციებს აღარ მოეპოვება თავ-თავისი განსაკუთრებული ტერიტორიები. იქ ნაციები იმპერიის მთელ სივრცეზე ერთმანეთში არიან არეულ-დარეულნი. აღნიშნული კანონმდებლობა კი არის და უეჭველათ უნდა იყოს ტერიტორიალური. ერთსა და იმავე რაიონში სხვა და სხვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების შეზღუდვა მეტათ გააძლიერებდა და შეაფერხებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაშასადამე გამოიწვევდა საერთო დრტვინვას. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ავსტრიაში შეუძლებელია სრული დეცენტრალიზაციის მოხდენა ამის თანახმა, რასაკვირველია, ამხ. ჩხენკელიც. მაგრამ, სამწუხაროთ, ის ფიქრობს, ვითომ რუსეთის იმპერიაც, ამ შემთხვევაში, იგივე ავსტრია იყოს. აქ არის მისი ძირითადი შეცდომაც.

ამხ. ჩხენკელი წინააღმდეგია, რომ ჩვენს ქვეყანას

ქონდეს საკუთარი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა. მერე რა მოსაზრებით, რა საბუთებით? ჩვენს ქვეყანაშიო—აცხადებს იგი—„გაბატონებულია დღეს **ბურჟუაზიული** სამოქალაქო და სისხლის სამართლის უფლება—პროცესი და **არა რუსული**“ („ხომლი“ № 19). ი საბუთიც ამასა ჰქვიან! მერე სად, რომელ თანამედროვე ნაციასა თუ სახელმწიფოში აღარ არსებობს დღეს ბურჟუაზიული წყობილება? და აკი ამიტომაც—გვიპასუხებს ამხ. ჩხენკელი —„თანამედროვე („ბურჟუაზიულ“) სახელმწიფოებს **არსებითათ** ერთგვარი კანონდება აქვთ ყოველ დარგში“ (იქვე). მაგრამ თუ ასეთ „არსებითობაზე“ მიდგა საქმე, მაშინ ჩვენ, რასაკვრელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიუროკრატიული თვითმყრობელობა და პარლამენტარიზმი ერთი და იმავე გვარის მოვლენაა, ორივე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა; ანტიკური მონობა, ბატონ-ყმობა და კაპიტალიზმი ასევე ერთი და იმავე გვარის სოციალური ფორმაციაა (შენობაა), ყველა ესენი წარმოადგენენ კლასიურ საზოგადოებას, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე, ადამიანისაგან ადამიანის მჩაგვრელობაზე; კანონი ავია თუ კარგი, მაინც კანონია, ის უეჭველათ იგულისხმებს სახელმწიფო ორგანიზაციას, იგულისხმებს ერთი მხრივ, დამჩაგვრელებს, მეორე მხრივ, დაჩაგრულებს. მაშ ძირს ყოველნაირი კანონები! ძირს პოლიტიკური ბრძოლა!.. ამ რიგათ ჩვენ თავს ამოვყოფდით პირდაპირ ანარქისტების ბანაკში. სოციალდემოკრატს არ შეჰფერის ასეთი განმარტოვებული მსჯელობა.

დღეს ყველა სახელმწიფოებში ჩვენ ვხედავთ ერთგვარ სოციალ-ეკონომიურ ვითარებას, ბურჟუაზიულ ანუ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას. ამიტომ ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში კანონები ერთ და იმავე მიმართულებით ვითარდებიან, ერთმანეთს ემჰგავსებიან. ამხ. ჩხენკელისათვის სრულიად საკმაო დაინახოს **კანონების მზგავსება**, რომ მან მოითხოვოს **კანონდების ერთიგივეობაც**. იგი სწერს: „ადგილობრივი კანონდება ამ სფერაში (სისხლის სამართლის და სამოქალაქო უფლება—პროცესი), რამდენათ შიდა რუსეთისაგან განსხვავებულ კანონებს შემოიღებს, ყოველად უვარგისია; ხოლო რამდენაო მზგავს კანონებს შემოიღებს იგი, იმდენათ მისი ცალკე არსებობა მეტია და ნივთიერათ საზარალო“. ჩვენის აზრით კი, არამც თუ მზგავსება კანონებისა, ამათი ერთიგივეობაც არ შეიძლება იყოს საკმაო საბუთი საკუთარ კანონდების უარსაყოფათ. ერთ მშვენიერ დღეს რომ მთელ ქვეყანაზე კანონების ერთიგივეობა განხორციელდებოდეს და აქედან ამხ. ჩხენკელი მოისურვებდეს ცალკე სახელმწიფოთა თუ ნაციების საკუთარ კანონდების გაუქმებას, მის წინააღმდეგ პირველი საერთაშორისო სოციალდემოკრატია ამხედრდებოდა; და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ყოველად შეუძლებელია თვალუწვდენელ სივრცეზე ერთ და იმავე ტემპით სწარმოებდეს სოციალ-ეკონომიური განვითარება. კანონდების ერთიგივეობა კი ყოველ დაწინაურებულ კუთხეს ყოველ ნაბიჯზე მძიმე ბორკილებათ დაეკიდებოდა ხელ-ფეხზე. სხვისი არ ვიცით და სოციალდემოკრატია კი ვერ იქნება ამ ბორკილების მოსარჩლე.

ლაპარაკი არ უნდა რომ, ერთიგივეობა კანონებისა, არა მარტო სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონებისა, არამედ ყოველნაირ კანონებისა, დიდათ სასურველი და სასარგებლოა, რადგან კანონების იგივეობა აადვილებს ადამიანთა შორის მიმოსვლა-ურთიერთობას. მარა ამისათვის კანონების იგივეობა უნდა იყოს ბუნებრივი, ე. ი. უნდა მომდინარეობდეს სოციალ-ეკონომიურ ვითარების იგივეობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონების იგივეობა ნიშნავს ბორკილებს ერთი მხრისათვის და პრივილეგიებს, უპირატესობას მეორეთათვის. სოციალ-ეკონომიურ ვითარების იგივეობა რომ კერძოთ რუსეთის სახელმწიფოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ამას, წინააღმდეგ ამხ. ჩხენკელისა, მტერმეტყველურათ ამტკიცებს. ამხ. ჩხენკელი. იგი სწერს: „რუსეთის ვეება სივრცე შეიცავს ყოველგვარ ჰავას—პოლიარულიდან დაწყებული ტროპიკულამდე, ყოველგვარ გეოგრაფიულ ფორმაციებს—გაუვალ უდაბნოებიდან ამწვანებულ წალკოტებამდე, ყოველგვარ რასას—მონგოლურიდან კავკასიურამდე, ყოველგვარ კულტურას—ველურიდან ცივილიზაციურამდე, ყოველგვარ სარწმუნოებას—ცეცხლთაყვანის მცემლობიდან მეტაფიზიკურამდე. ყოველგვარ ერებს და პირველ ყოფილ გვარტომებს, ყოველგვარ ენებს და კილოკავებს“... აგაშენოს ღმერთმა! და მერე ასეთ „უნივერსალურ“, „მსოფლიო“ სახელმწიფოში პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის უარყოფა და კანონებისა და კანონდების იგივეობის მოთხოვნა თუ დაცვა სხვას რას ნიშნავს თუ არ სოციალ-ეკონომიურ განვითარების შებორკვას და უკიდურეს ნაციონალურ ჩაგვრა-მონობის დადასტურებას?!

მაგრამ ამას ვერ ხედავს ამხ. ჩხენკელი, რადგან მას წინ აფარია ერთხელვე აკვიატებული ყალბი ფორმულა, რომლის მიხედვით კაპიტალისტურ საზოგადოების ეკონომიურ ძალთა კონცენტრაცია ვერ ეგუება ვერავითარ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას. ამხანაგს ერთობ მარტივათ აქვს წარმოდგენილი თანამედროვე საზოგადოების განვითარება: „კაპიტალიზმი—სწერს იგი—გულისხმობს საქონლის წარმოებაზე და გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებულ საზოგადოებას, მისი უმაღლესი საფეხური არის მანქანა და კრედიტი. საითკენ არის კაპიტალიზმის განვითარება მიმართული? **ცენტრალიზმისკენ**“ („ნაპერწკალი“ № 28). აქედან ცენტრალიზმი პოლიტიკაში, სახელმწიფოში. კი მაგრამ სად, როდის, რომელი ცენტრალიზაცია?..

„ცენტრალიზმი! никакихъ!“ ერთხმათ სიტყვას გვაწყვეტინებენ ამხანაგი „ცენტრალისტები“. მაგრამ განა პოლიტიკური დეცენტრ... „ძირს!.. გაუმარჯოს პოლიტიკურ ცენტრალიზაციას!“ ხმაურობენ ამხანაგები იმ რომ ერთიანათ გაანადგურონ დეცენტრალიზაციის მოთხოვნა, დასძენენ; „თქვენი დეცენტრალიზაცია (იგუ-

ლისხმე საკუთარი კანონდება აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფერაში) ეგ მეფე ერეკლეს დროის აღდგენას მოასწავებს, ეგ რამდენიმე საუკუნით უკან წასვლას ნიშნავსო!“ თანამედროვე პოლიტიკური დეცენტრალიზაცია და მეფე ერეკლეს დროის წყობილება?! allons donc! (გაჩერდით, თუ ღმერთი გწამთ!). ამხ. ჩხენკელი თუ ლოლიკურათ შერჩება თავის ცენტრალისტურ პოზიციას, იგი აუცილებლათ იძულებული იქნება დაჰგმოს პოლონეთის ავტონომიაც, უარყოს თვით ფინლიანდიის ავტონომია. ასეთი „მეგობრობისათვის“ კი იქაური სოციალდემოკრატები ჩხენკელს პირს არ მოუკოცნიან. მერე ის ამხანაგები რათ იცავენ ავტონომიას, თუ კი ეს უკანასკნელი აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას? ისტორიული უფლებაც ხომ აქ მოსატანი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ—როგორც უკვე შევნიშნეთ ერთ წინანდელ წერილში—ავტონომია კი არ აფერხებს, პირიქით შესანიშნავათ ხელს უწყობს ეკონომიურ ძალთა განვითარებას; ეს უნდა იცოდეს, ვალდებულია იცოდეს იმ ადამიანმა, ვინც სწერს: „დაჩაგრულ ხალხებშიც, რამდენათ მათში განვითარებულა კაპიტალიზმი, იმდენათ ისინი ერებათ ქცეულან და ცდილობენ ერთეულ **პოლიტიკურ ორგანიზმათ** იქცენ“ (ჩხენკელი). ეს პოლიტიკური ორგანიზაციაა ის აბჯარი, რომლითაც ერი იგერებს გაბატონებულ ნაციის ზედმისევას ეკონომიურ სფერაში. იგივეა აუცილებელი იარაღი ეროვნულ თვით-არსებობის დასაცავათ.

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, ავტონომია რომ საუცხოვოთ ეგუება კაპიტალიზმის განვითარებას, ამის ცოცხალ, მოღაღადე ფაქტებს იძლევა იგივე უმაღლესათ განვითარებული სახელმწიფონი, ინგლისი და ამერიკა. იცით როგორი ავტონომიური უფლებანი აქვთ მინიჭებული მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებს? ცალკე შტატის, ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოების ხელშია მთელი მოქალაქობრივი და რელიგიოზური უფლებანი. მათ ეკუთვნის სახალხო განათლების საქმე, საარჩევნო სისტემის დადგენა, ქორწინების წესების დამყარება, ცოლქმართა და მშობლებისა და შვილების ურთიერთობათა განწესრიგება; მათ ხელშია ყველა ხაზეინებისა და მუშების ყველა ურთიერთობათა მთელი უფლებრივი მხარე; მათ ეკუთვნის კანონდება სააქციონერო, სავაჭრო, საკრედიტო, საკონტრაქტო და მოვალეობათა საქმეებისა, აგრეთვე დაზღვევის საქმე; იგინივე აწესებენ კერძო და მუნიციპალურ კორპორაციებს; მათ ხელშია კანტროლი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობის და გადაცემის, შტატის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციას ეკუთვნის ყველა სისხლის სამართლის კანონები, გარდა იმ კანონებისა, რომელიც ეხება დანაშაულს მთელ ფედერაციის წინააღმდეგ და დანაშაულს, რომელიც ჩადენილია გაშლილ ზღვაზე ანუ არღვევს საერთაშორისო უფლებას. *) ცალკე შტატების მთელ საკანონმდებლო სფერის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა; ნათქვამიდანაც აშკარაა, რომ ამერიკის შტატებს საკმაოთ ფართო ავტონომიური უფლებანი ჰქონიათ მინიჭებული. მერე იცით რაგორ მოქმედობს მთელი ფედერაციის სახელმწიფო მანქანა? აი რას გვეუბნება ამის შესახებ ამერიკის ცნობილი იურისტი და პუბლიცისტი ბ-ნი ვუილსონი: „მიუხედავათ იმისა, რომ კავშირის (ჩრდ. ამერიკის რესპუბლიკის) შემადგენელი ნაწილები ასე გამიჯნულნი არიან, მათ არ შეიძლება ვუკიჟინოთ სეპარატიზმი. შტატები და ფედერაცია ისეთ ურთიერთობაში იმყოფებიან, რომ მათ, არამც თუ სასტიკათ გამიჯნულ თავ-თავის სფერაში შეუძლიანთ მწყობრი და ნაყოფიერი მუშაობა, არამედ იმ შემთხვევებშიაც, სადაც მათი იურისდიქციის სფერები ერთმანეთში იხლართება და ერთმანეთს ჰფარავენ, იგინი მოქმედებენ მწყობრათ და ჰარმონიულათ“ *). ცხადია, რომ თანამედროვე პოლიტიკური დეცენტრალიზაცია და ავტონომია არ მოასწავებს საშუალო საუკუნოების კარ-ჩაკეტილობას და მეფე ერეკლეს აჩრდილიც ამაოთ შეუწუხებიათ.

და თუ ავტონომია ეგუება ისეთ სახელმწიფოს, სადაც უკვე უმაღლესათ გაერთიანებულია სოციალ-ეკონომიური ვითარება, რაღა უნდა ითქვას იმ სახელმწიფოზე, სადაც სოციალ—ეკონომიურ სხვადასხვაობას თან სდევს ნაციონალური სხვა და სხვაობაც?.. აქ პოლიტიკურ ცენტრალიზაციის დაცვა შეიძლება მხოლოთ კნუტის, მათრახისა და შტიკების საშუალებით და არავითარ სხვა არგუმენტებით. ცენტრალიზმის ბაირაღს დღეს აფრიალებენ მხოლოთ, ასე წოდებული, იმპერიალისტები, ჯინგოისტები, ნაციონალისტ-კლერიკალები—ევროპაში, და შავრაზმელები, ოქტომბრისტები—რუსეთში. სოციალ-დემოკრატიას ამ კამპანიასთან არაფერი აქვს საერთო. რუსეთში ცენტრალიზმის დაცვა ნიშნავს ეკონომიურ ძალთა შებორკვის და ნაციონალურ მონობის, პირუტყვულ მონობის გამაგრებას. ჩვენ კი ვესწრაფით თავისუფლებას, თვითმოქმედებას, და ვებრძვით ყოველნაირ მჩაგვრელობას, როგორც კლასიურს, ისე ნაციონალურს. აი ამიტომ, ჩვენ ვითხოვთ რუსეთის, რაც შეიძლება, ფართე, რაც შეიძლება, სრულ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, ვითხოვთ ავტონომიას ყველა „განაპირა ქვეყნებისათვის“. ამასვე ითხოვს რუსეთის თვით სახელმწიფო ინტერესიც. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნები, რუსეთის სახელმწიფო ვერ ჩადგება ნორმალურ განვითარების კალაპოტში. თუ ნაციონალური ბრძოლა ხელსაყრელია ბურჟუაზიისათვის, იგივე ბრძოლა უფრო მეტათ მავნებელი ხდება ბოლოს, რადგან აჩლუნგებს სახელმწიფო მანქანას. ხოლო რაც შეეხება ფართე ადგილობრივ თვითმართველობას, ეს პირდაპირ სრულებითაც არ ეხება ნაციონალურ საკითხს. იგი საერთო და მიუცილებელი მოთხოვნაა ყველა იმათთვის, ვინც ესწრაფვის უფლებრივ

*) იხ. სხვათა შორის Woodrow Wilson „სახელმწიფო ets 1094.

*) ep ib.

სახელმწიფოს დამყარებას და პოლიტიკურ თავისუფლებას. „უფლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა გარანტიებია: ერთი მხრით—სახალხო წარმომადგენლობა, მეორე მხრით—ადგილობრივი თვითმართველობა“ (მაქსიმ კოვალევსკი). ამიტომ თვითმართველობისა და ავტონომიის დაპირდაპირება აქ სრულიად უადგილოა. რუსეთის იმპერიაში ნაციონალურ საკითხების გადაჭრას ავტონომიის გარეშე სხვა საშუალება არ მოეპოება. თუ შეგიძლიანთ, დაამტკიცეთ წინააღმდეგი!

როგორი უნდა იყოს სახელდობრ ჩვენი ქვეყნის ავტონომია და რამდენათ საფუძვლიანია მის წინააღმდეგ ამბ. ჩხენკელისაგან გამოტანილი მოსაზრებანი, ამაზე შემდეგ წერილში.

საწუხარო კი არა სასიხარულო არის. *)

ზოგიერთა მუშებს „ჩვენი კვალის“ მიმართულება ძალიან უკვირთ და ამბობენ: „ჩვენ ამხანაგებს განუზრახავთ ცალკე ორგანოს დაარსება იმ მიზნით, რომ გააცნონ ფართე მასას ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტას ავტონომია-დეცენტრალიზაციის საშუალებით, ნამდვილათ კი ნელნელა უახლოვდებიან ამ კითხვების გამორკვევაში ნაციონალისტ-ფედერალისტებს და განა საწუხარო არაა ამხანაგების ასეთი მოქმედება?“ რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ არ იმას, რომ მუშები საკმარისათ არიან გაცნობილი ნაციონალურ კითხვებს, გათვალისწინებული აქვთ ავტონომია-დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა (თუ გინდ ისეთი ავტონომია-დეცენტრალიზაციის, რომელსაც მოითხოვენ ნაციონალისტ-ფედერალისტები). სხვანაირი დასკვნა არ შეიძლება, რადგანაც წარმოუდგენელია მოწინააღმდეგის შეხედულების გაკრიტიკება ამა თუ იმ კითხვების შესახებ, თუ კი წინდაწინვე არ ხარ გაცნობილი მის აზრებს. მერე მართალია ეს? მუშებმა რაც გინდ ბევრი ვიყვიროთ, საკმარისათ გვაქვს გათვალისწინებული ნაციონალური საკითხი, ავტონომია-დეცენტრალიზაცია დამღუპველიაო, ფაქტი ფაქტათ დარჩება და ჩვენ ამ კითხვებში, ისევ ისე გამოურკვეველი ვიქნებით როგორც ახლა,

ან საიდან უნდა ვყოფილიყავით გაცნობილი ამ კითხვებთან (მე ვლაპარაკობ კავკასიის მუშების დიდ უმრავლესობაზე), როდესაც ამ ბოლო ხნობამდის სისტემატიურათ არ იწერებოდა ჩვენებურ გაზეთებში არაფერი და თუ დრო გამოშვებით თითო-ოროლა წერილი დაიწერებოდა, ესეც უფრო მცირე შენიშვნას წააგავდა, ვინემ სტატიას, რომელიც ეხებოდეს საკითხს საფუძვლიანათ პრინციპიალურათ და რაც შეეხება იმას რომ ხშირათ ასეთ წერილებს მკითხველები უფრო გაურბოდენ, ვიდრე გულდასმით ბოლომდის გადაეკითხნათ, რადგანაც... მერე ვინა ზარალობს იმით, რომ არ ვიცით და გავიძახით კი ვიცითო? რასაკვირველია ჩვენ თვითონ, და აი სამწუხაროც ნამდვილათ ესაა. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ ის, რის თანახმაც არა ვართ და რის განხორციელება საზარალოთ მიგვაჩნია. რომ ღრმათ გავეცნოთ ნაციონალურ საკითხებს და გავიგოთ თუ რა გზით უნდა გადაწყდეს ის საკითხები, რომლის გადაწყვეტაც აინტერესებს მთელ კაცობრიობას, საჭიროა ისეთი წყაროები, საიდანაც შეიძლება საკმარისი მასალების შეკრება, აი ერთი ამ ნაირ წყაროთაგანი „ჩვენი კვალი“-ცაა, რაიც ჩვენთვის სასიხარულოა და არა სამწუხარო, და ჩვენ ყოველთვის უნდა ვუწევდეთ დახმარებას იმ ორგანოებს, რომლებიც ემსახურებიან მთელ კაცობრიობის მომავალს და ის კი არ გვმართებს გაკვირვებული შევყურებდეთ, არამედ ერთხელ კიდევ უნდა დავამტკიცოთ, საქმით და არა სიტყვით რომ „ცოდნა ძალაა, ძალა ცოდნაა“.

ოსი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს შეუცვლელათ, რადგან იგი ეკუთვნის ჩვენში კარგათ ცნობილ მუშას. რედ.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში

— ტფ. გენერ. გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა ს გლეხო. გაზეთ „ახალ'შენი“ ხუთშაბათს გაზეთი „ეკლის“ № 5 კომფისკაცია უყვეს; ამავე დღეს შეჩერებულ იქნა გაზეთი „ზაკავკაზიე“ სამხედრო წესების მოხსნამდე.

— ავჭალის სახალხო აუდიტორიაში რუსულ სცენის მოყვარეთ აზრათა ჰქონდათ ლევ ტოლსტოის იუბილეი ედღესასწაულათ 30 და 31 აგვისტოს. მარა აღმოჩნდა, რომ ხსენებული სცენის მოყვარენი ამავე დროს თურმე „რუსის კლუბის“ წევრებათ ითვლებიან.

პატრიოტებმა ყოველივე ზომები მიიღეს ამის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ და იუბილეის მოწყობის საქმე ჩაშალეს.

— დღეს მთაწმინდაზე გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ილ. გ. ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ.

— „გურიის რესპუბლიკის“ საქმე, რომლის გარჩევა იუსტიციის მინისტის განკარგულებით ტფილისიდან ადესაში იქნა გადატანილი, გაირჩევა ქ. ადესაში 6 ოქტომბერს. ბრალდებულები შუამდგომლობენ ნება მიეცეთ მათ მოიწვიონ ამ საქმეზე დამცველათ მოსკოველი ნაფიცი ვექილი პერუვერზაევი.

— როგორც გავიგეთ, სახელმწიფო სათათბიროს წევრს ბ. გეგეჭკორს, ნებართვა მიუღია გენ.-გუბერნატორისაგან, საჯარო კრება გამართოს ამრჩევლებთან სასაუბროდ. ბ. გეგეჭკორი ხსენებულ კრებაზე რეფერატს წაიკითხავს.

— ყვირილის ხაზინის გაცარცვის და ტენგინის პოლკის ორი როტ ს ტყვეთ წაყვანის თაობაზე სამხედ-

რო სასამართლომ გაამართლა რვა, ცხრას მიუსჯა კატორგა და სამს გამაწირებელ რაზმში შესვლა.

— გამოვიდა ერთ წიგნათ მეხუთე და მეექვსე ნომერი ჟურნალ „განათლებისა“ შემდეგი შინაარსით:

1) ენა და ეროვნება ლ. ბ—ძისა; 2) მატერიალიზმი და მექანიკური სოფლმხედველობა (ჟ. ე. კოდისა) ს. დადიანისა; 3) აწინდელი სასკოლო და საეროკანონლების საკითხები და მისწრაფებანი სიმ. ავალიანისა; 4) „რა ენა წასდეს, ერიც დაეცეს“ სტატია ანდრ. სიმ. ბენაშვილისა; 5) დაჩაგვრა ქართველისა და ქართველებისა წაგვლა-გინოლების საქმეში, სტატია იაკობ გოგებაშვილისა; 6) ბედნიერი მოხუცი, ლექსი აკაკისა; 7) ტრუბენტელა ადმზრდელი (დასასრული), ვაჟა ფშაველასი. 8) ვუძღვნი ა. ფრონელს, ლექსი დ. თოფაშვილისა: 9) შინაური მიმოხილვა; 10) უცხოეთის მიმოხილვა; 11) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 12) ქართული წერის შესახებ—სამს. დათუშიძისა; 13 წერილი ბროვინციიდან ტეხურის-ბირელისა 14) მასწავლებელთა შორის (წერილი ქუთაისიდან), მ. კაკაბაძისა; 15) წერილი სხვრსეთიდან, ეოდამ ბუ'ეინ ონიკაშვილისა, მოჰამედ-სადეხ-ხანი მესხვილისა, ჭაჯი შეიხულ ისლამ მობინაშვილისა და სხვა 16) სამეცნიერო მიმოხილვა რადიო და ელ შენის ძირი ლ. ზ—ისა. დ—რი მოდენარი. რას ეგვსწავლის მონიზმი? ბროშ. ჩერნი— საკითხი სკოლაში მოქალაქეობის შესახებ. გარსო განგუსსენი. უზნეობა სიტიტვლეა?

რ უ ს ე თ ს ი.

სიკვდილით დასაჯეს: კრემენჩუგში—ხუთი, ოდესაში—ორი, კიევში—ორი, სამარაში—სამი (ორი საათის შემდეგ მიიღეს პეტერბურგიდან განკარგულება გადაიდოს დასჯა), რიგაში—ორი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: კიევში—ერთს, სარატოვში—ექვს, მოსკოვში—ოთხს, სარატოვში-რვას, კიევში-სამს, ტომსკში-ერთს. („რ.“ №№196-201).

— დააჯარიმეს შემდეგი გაზეთები: „ლატვია“—1000 მან., „რუსკ. ვედ.“—3000 მან., „გოლ. მოსკ.“—500 მან. (მოთავსებული იყო სტატია „ხოლერის მოლოდინში“).

— ვარენიკოვის სადგურის მახლობლათ პოლიციამ დაიჭირა რამდენიმე კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ ოთხი ფუთი შრიფტი, ვინტოვკები, მაუზერის სისტემის რევოლვერი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

— მოსკოვის ადმინისტრაციამ ოფიციალურათ გამოაცხადა, რომ საზოგადოებას ნებას არ მისცემს გადიხადოს ტოლსტოის იუბილეი.

—ვოლოგდაში გიმნაზისტებს ნება არ მისცეს გადაეხადნათ პანაშვიდი ი. ს. ტურგენევის სულის მოსახსენებლათ.

— ვორონეჟში დაიწო ორი პოლკის იარაღის საწყობი; დაიღუპა 7,000 თოფი.

— პენზაში და უფაში აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი და იარაღი.

— სახალხო განათლების მინისტრმა დაგზავნა ცირკულიარი, რომ უნივერსიტეტებში და გიმნაზიებში მარტო ისინი უნდა დარჩენ პროფესორებათ და მასწავლებლათ, ვისაც მთავრობა იცნობს კეთილსაიმედოთ. არა კეთილსაიმედოთ უცვნიათ აგრეთვე კადეტებიც. ამის გამო ბევრ გამოჩენილ პროფესორს კადეტს მისცეს წინადადება ან გამოვიდენ პარტიიდან ან თავი დაანებონ უნივერსიტეტს.

— პაშიანიცის პოლიცმეისტერს ოონინს სასამართლომ (პოლონეთში) გადაუწყვიტა 12 წლით კატორგაში მუშაობა, რადგანაც დაუმტკიცდა, რომ მას ოთხი დღე დამწყვდეული ჰყავდა კანცელარიაში ტუსაღი გრიზელი, მერე გაიყვანა ქალაქს გარეთ, ესროლა და თავის ხელით მოკლა გრიზელი. სტრაჟნიკებს კი უბრძანა, შეედგინათ ყალბი ოქმი, ვითომ გრიზელმა მოიწადინა გაქცევა და ამის გამო მოკლეს ის. ეს ის ოონინია, რომელსაც, სხვათა შორის, ბრალსა სდებდენ რიგის ციხეში პოლიტიკურ ტუსაღების ხოცვა-ყლეტაში და რომლის გამოც შეტანილ იქმნა შეკითხვა მეორე სახელმწიფო დუმაში. მარა... ეს შეკითხვა ზოგიერთ დეპუტატების მოგონილ ჭორებათ იცნეს.

— პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში დაიწყო გარჩევა 37 კაცის საქმე, რომელთაც აბრალებენ ს.-დ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრობას.

— განათლების მინისტრმა არ შეიწყნარა შუამდგომლობა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსი უკანვე მიღებულ იქმნენ თავისუფალი მსმენელი ქალები და სემენარისტებს მისცემოდა ნება უნივერსიტეტში შესვლისა.

— მოსკოვში გაშინჯეს პიროგოვის საზოგადოების ექიმთა გამგეობის ბინა. დოქტ. ჟბანკოვი ააპატიმრეს. როშიურ, რომლის გამოც გაჩხრიკეს ბინა და დაპატიმრეს ჟბანკოვი, აღმოჩნდა გამოცემული 1905 წ. და ცენზურისაგან ნებადართული.

— სმოლენსკში დაიწო არტილერიის კაზარმები: ეტვი აქვთ, რომ ცეცხლი ანგარიშით წაკიდებული. ზარალი ძლიან ბევრია.

— 22 აგვისტოს შესრულდა 25 წ., რაც გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მწერალი ი. ს. ტურგენევი. ამის გამო რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში გადახდილ იქნა პანაშვიდები.

— რადგანაც ამ ჟამათ ლ. ნ. ტოლსტოი ავათაა ინფლუენციით, გრ. ს. ა. ტოლსტოისამ დაგზავნა გაზ. რედაქციებში წერილები, სადაც ატყობინებს ლ. ნ. ტოლსტოის პატივისმცემლებს, რომ მას ავათმყოფობის გამო პირადად ამ ავის მიღება არ შეუძლიანს.

ი ს ლ ა ლ ე თ ი.

ილდიზ-კიოსკში იაუქმებელ იქნა დეპეშა მიღები ადგური, რომელიც ხონთქარის ერულ განკარგულებაში იყო. ამ გაქმის კონსტიტუციონურ ხელმწიფოში დიდი მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს ფაქტურათ ხონთქრის უფლების განსაზღვრას. ოსმალეთ-

დამნაშავეთა დასჯა სპარსეთში.

თის ყველა გენერალ გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს გ მოეცხადა, რომ ამას შემდეგ მოხსენებები წარუდგინონ მხოლოთ შინაურ საქმეთა მინისტრს. ელჩებმაც მიიღეს მოწერილობა, რომ გასწავიტონ წერილობითი თუ დეპეშებით დამოკიდებულება ილდიზ-კიოსკთან.

—ოსმალეთის მომავალი პარლამენტი შედგება 250 დეპ., რომელთაც არჩევს 12, 500,000 ამოარჩეველი. უმეტესობა ამაგან არაბებია—5,000,000, ოსმალო 2, 850,000, ბოლგარი და ბერძენი—1,550000. სენატი შედგება 83 წევრისაგან.

—უსკუბში 17 აგვისტოს ოტომანის სახელმწიფოს სერბიელ ქვეშერდომთა მიერ გამოქვეყნებული იქნა მანიფესტი; ამ მანიფესტში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ჩვენი მიზანია—დღევანდელი ოტომანის იმპერიის შენახვა და დაცვა მტრული ელემენტებისაგანო ჩვენ ჯულწრფელათ გვსურს ვიმუშაოთ ერთათ ოტომანის იმპერიის ყველა მოქალაქეთან განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისაო.

—საბახ-ედინმა, ოსმალეთის დეცენტრალიზაციის ლიგის მეთაურმა, სტამბოლში დაბრუნების თანავე გამოუშვა მოწოდება მოქალაქეთადმი. მოწოდებაში ნათქვამია: „32 წლის წინათ ჩვენმა ფადიშაჰმა მიიღო ფიცი კონსტიტუციის ერთგულებაზე, მაგრამ ულალ ტამალ, მან ფეხ-ქვეშ გასთელა კონსტიტუცია და დაანთხია პირველი მებრძოლის მით-ხადის სისხლი.

ჩვენი სამშობლო იტანჯება მტარვალებიდან და სანამ ისინი პოლიტიკურ ასპირეზიდან არ გაქრებიან, კონსტიტუციის სიმკვიდრე უზრუნველ-ყოფილი არ იქნება. თქვენ ყველას სახრჩობელა მოგელოთ, სანამ ძველი რეჟიმის დამცველების ძალა ექმნებათ ხელში. მოითხოვეთ აღმასრულებელი ძალა გადავიდეს ახალ წესწყობილების მომხრეთა ხელში; ნუ დაჰყრით იარაღს, სანამ ეს თქვენი მოთხოვნა განხორციელებული არ იქნება.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ მიერ არჩეულ წარმომადგენელთა ხმას მხოლოთ მაშინ ექმნება ძალა, როცა მათ ხალხის ფართე მასსა უჭერს მახარს.

რა სარგებლობას მოიტანს ისეთი კონსტიტუცია, რომელსაც ძალა არ აქვს.

კონსტიტუციის არსებითი მხარეა ხალხის კონტროლი და დეცენტრალიზაციაა. ამიტომ ოსმალეთის კონსტიტუციის მე-108 მუხლის ძალით, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ თვითმართველობის შემოღება ვილაიეტებში (პროვინციებში).

თუ ჩვენ ამას იქითაც ცენტრალიზაციის პრინციპის მომხრე ვიქნებით, მაშინ განაპირა ქვეყნები ვერ ისარგებლებენ იმ თავისუფლებით, რომელსაც მათ კონსტიტუცია ანიჭებს, და წინადებურათ საშინელი შევიწროებული იქნებიან.

თანამემამულენო! მთავრობის ძალა უნდა იყოს ოსმალეთის ღირსეულ შვილთა ხელში; მოვითხოვოთ იმათი გადაყენება, ვისაც ხალხის სისხლში გასვრილი აქვს ხელი.

ხონთქრის აბდულ-ჰამიდის კონსტიტუციონალურ კეთილსაიმედობა შემოწმებულ უნდა იქნეს. რისთვის ინახავს ის გვარდიას თავის დასცველათ? თუ ის გულწრფელი მსურველია ახალი წესების, რისთვის და უნდა ამდენი დაცველი?

თანამემამულენო! ბოლომდე დავამთავროთ ჩვენი საქმე, განვათავისუფლოთ სამშობლო, რომ იგი ბედნიერი იყოს.

გაუმარჯოს სამშობლოს!

(„რ. ვ.") საბახ-ედდინი".

სპარსეთი.

— თავრიზიდან „ნოვ. ვრ." ატყობინებენ დეპეშით, რომ თავრიზს უახლოვდებიან ეინ-უდ დოულეს მამშველი რაზმი ჯულუკისა და მარანდის გზით. მთავრობის პარტია ფიქრობს, რომ მას ეყოლება 6,000 შეიარაღებული კაცი და 9 ზარბაზანი, პარაკევს უნდა მოხდეს დიდი შეტაკება. ამ დღეებში სათარ-ხანმა შემოიარა უბნები, გაამხნევა რევოლიუციონერები და სთქვა, რომ ამ მოკლე ხანში ის ელის შეტაკებას და სრულიად დარწმუნებულია, რომ მთავრობის ჯარს ცხვირ-პირით დააფრცხვინებს მწყას.

— სტამბოლში ახალგაზდა ოსმალებმა და სპარსელმა ემიგრანტებმა ხელ ხელ შეკრიბეს 50,000 მან. და სათარ ხანს გაუგზავნეს თავრიზს.

— თავრიზელი კორესპონდენტი „ტაიმს" სწერს: მთელი სპარსეთი სულგანაბული ელის თავრიზის ბრძოლის დასრულებას. ეხლა თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ბრძოლის ბედი მალე გადაწყდება. ამ ჟამათ თავრიზის ენჯუმენს სათარ ხანის მეთაურობით თავის ხელში უჭირავს მთელი ქალაქი. სათარ-ხანი სამხედრო დიქტატორადაა გამოცხადებული. ის თავის მოკალეობას ისეთ ნაირათ ასრულებს, რომ ძალა-უნებურათ აღტაცებაში მოყავს კაცი. თუმცა ქალაქში 5000 შეიარაღებული მეომარი იმყოფება, მაგრამ წესიერება არ ირღვევა. თუ ვინმე ნაძირალი გაბედავს და რაიმე უწესოებას მოახდენს, ის სასტიკათ იქნება დასჯილი.

— როგორც ხმებია გავრცელებული, თავრიზში სასტიკი ბრძოლა უნდა იყოს გაჩაღებული სათარ-ხანსა და მთავრობის ჯარს შორის. ამ დღეებში უკანასკნელათ გადაწყდება სპარსეთის კონსტიტუციის ბედი ალბალი. ძალიან მოსალოდნელია რომ გამარჯვება სათარ-ხანს დარჩეს და ახლო მომავალში სპარსეთის მეჯლისი კვლავ შეიკრიბოს თეირანში და მედგრათ შეუდგეს ქვეყნის მოწყობისა და აყვავების საქმეს.

დავჩუმდე?

მეუბნებიანი: „დაჩუმდი,
ნუ ამოიღებ ხმასაო,
ხომ ხედავ დრო შეიცვალა—

არ ენდო" მეგობარსაო!
დაძრწიან, დასუნსულებენ
ხალხის ორგულნი, მტრებიო,
საკბილოს უთვალთვალებენ,
ვითა მშიერი მგლებიო!..
და, თუ არ გინდა, რომ გახდე
იმათი კბილთა მსხვერპლიო,
უარყავ ქნარი ამ ჟამათ,—
ნუ ხარ ჯიუტი, კერპიო"!..

——

არა, არ მარგებს ეგ რჩევა:
ვერ დავიმუნჯებ ენასა,
დეე, მდევნიდენ მსუნაგნი—
ავიტან იმათ კბენასა...
ძნელია, ვერ შევაკავებ
მოწოლილ ცრემლთა დენასა,
ვიდრე მონათ ვარ ქკეული
გული არ მოსპობს ქშენასა...
არც ჩემი ქნარი შესწყვეტავს
მტრის შიშით თავის ჟღერასა,
დღეს კვნესის მისი სიმები—
ხვალ-კი დაიწყებს მღერასა!..

ალ. გერასიმიძე.

მაღალს წრეში.

(გაგრძელება *)

მოქმედება მეორე.

აფიცერი. თავადი არჩილი რომელი ბრძანდებით?

ლევანი. არც ერთი.

აფიცერი. უკაცრავათ. ეს მგონია თავადი არჩილის ბინა უნდა იყოს.

ლევანი. დიაღ, მაგრამ ახლა ის სახლში არ არის,

აფიცერი. თუ იცით, მალე მოვა?

ლევანი. მგონია, მალე უნდა მოვიდეს.

აფიცერი. ჩვენ ფრიათ საჭირო საქმე გვაქვს იმასთან და უნდა მოვუცადოთ (დასხდებიან: აფიცერი პაპიროზს ამოიღებს და სხვებსაც აწვდის).

მიხაკო. საიდუმლოა თქვენი საქმე, თუ შეიძლება ჩვენთანაც ითქვას?

ერისკაცი. საიდუმლო არც იმდენია, ხოლო რასაკვირველია, საჭიროა, რომ არ გახმაურდეს.

აფიცერი. თქვენ ვინა ბრძანდებით?

ლევანი. ჩვენ თავადი არჩილის მეგობრები ვართ და ჩვენთან შეგიძლიათ, არაფერი არ დამალოთ, რაც არჩილს შეეხება.

აფიცერი. საქმე იმაშია, რომ ჩვენ სეკუნდანტები ვართ.

მიხაკო და **ლევანი** (ერთათ). ვისი?

აფიცერი. წუხელ კლუბში თავად არჩილს შეურაცხყოფა მიუყენებია ერთი ბანკირისათვის და ის დუელში იწვევს.

ლევანი. მე და თავადი მიხეილიც (უთითებს მიხაკოზე) იქ ვიყავით იმ დროს. უნდა მართალი მოგახსენოთ, თავადმა არჩილმა კიდევ დიდხანს მოუთმინა.

ერისკაცი. შესაძლებელია, შესაძლებელი. მაგრამ დამეთანხმებით, რომ იმხელა საზოგადოებაში სილა დიდი შეურაცხყოფაა. პატარა წრეში, ან სადმე მარტო კიდევ ჯანაბას, მაგრამ იმხელა საზოგადოებაში სილა — რაც გინდათ, ბრძანეთ და ეს ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც მხოლოდ სისხლით მოიწმინდება.

მიხაკო. თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ მაინც და მაინც არჩილის სისხლი დაიღვრება?

ერისკაცი. შესაძლებელია.

აფიცერი. (გააწყვეტინებს) არა, ბატონებო, მაინცა და მაინც სისხლის ღვრა კი არ არის საჭირო, საჭიროა დუელი. დამეთანხმებით, რომ სილა დიდ საზოგადოებაში დიდი შეურაცხყოფაა. ამგვარ შემთხვევაში პატიოსნება და ღირსება მოითხოვს დუელს; ხოლო დუელში განა უსათუოთ სისხლი უნდა დაიღვაროს? (კარი გაიღება და მხიარულის სახით შემოვა არჩილი. შედგება, შემდეგ ყველას ხელს ჩამოართმევს და დაჯდება).

ერისკაცი. (არჩილს) ჩვენ თქვენთან კერძო საქმე გვაქვს.

არჩილი. შეგიძლიათ, თავისუფლათ ბრძანოთ. ესენი ჩემი მეგობრები არიან და ამათთან მე არაფერი მაქვს დასამალავი.

ერისკაცი. თქვენ შეურაცხყოფა მიგიყენებიათ კლუბში ერთი ბანკირისათვის და ჩვენ ვართ მისი სეკუნდანტები. გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი სეკუნდანტები.

არჩილი. დიდის სიამოვნებით. (მიუთითებს ლევანსა და მიხაკოზე) აი ჩემი სეკუნდანტები. დამისახელეთ იარაღი და მე მზათ გახლავართ.

აფიცერი. იარაღათ ჩემის ფიქრით რევოლვერი ავირჩიოთ, თუ თქვენი სეკუნდანტებიც თანახმანი იქნებიან.

არჩილი. წინდაწინვე გიცხადებთ, რომ ჩემი სეკუნდანტები თანახმანი იქნებიან (ლევანი და მიხაკო თავს აქნევენ თანხმობის ნიშნათ). თქვენ მხოლოდ გააფრთხილეთ ჩემი მოპირდაპირე, რომ მე ბუზს არ ავაცდენ ტყვიას, ის კი ბუზზე ცოტა მეტია. (აფიცერი ერის-კაცს ელაპარაკება განზე, არჩილი—ლევანს და მიხაკოს. შემდეგ აფიცერი წინ წამოიყვანს ლევანს და მიხაკოს. ერისკაცი არჩილს ელაპარაკება).

აფიცერი. უნდა ისე მოვახერხოთ, რომ სისხლი არ დაღვაროს.

ლევანი. როგორ შეიძლება, რომ დუელში სისხლი არ დაიღვაროს?

აფიცერი. მშვენივრათ შეიძლება—თქვენ შედით ბანკირის მდგომარეობაში. მას შეურაცხყოფა მიაყენეს. არ გამოიწვიოს დუელში, ხომ თავი მეეჭრა საზოგადოებაში, შერცხვა. გამოიწვიოს და მას თავის დღეში არავითარი იარაღი ხელში არ აუღია. ამიტომ მე მინდა, რომ რევოლვერებით იბრძოლონ.

*) იხ. „ჩვენი კვალი" № 14.

ლევანი. ჩვენ თანახმა ვართ, მაგრამ რევოლვერით უფრო ადვილი არ არის კაცის მოკვლა?

აფიცერი. Холостые заряды никого не убиваютъ. მიმიხვდით?

ლევანი. (ცოტახ ნის ფიქრის შემდეგ) მესმის, მესმის. არასფერი მაქვს წინააღმდეგი.

მიხაკო. არც მე ვარ წინააღმდეგი.

აფიცერი. დუელი იქნება ხვალ დილით ექვს საათზე ჯვართან, ქალაქის გარეთ. საზოგადოება დაკმაყოფილდება, შეურაცხყოფილის თავმოყვარეობაც ამასთან სისხლიც არ დაიღვრება. ჩემის აზრით ასე უმჯობესია. მხოლოდ ამას ნუ გავახმაურებთ.

ლევანი. რასაკვირველია (დაიშლებიან).

აფიცერი. (არჩილს) მაშ ასე, კნიაზ! ხვალ დილით ექვს საათზე ჯვარ ან რევოლვერებით. ამალამ რვა საათზე თქვენ (ლევანსა და მიხაკოს) მობრძანდით ჩემთან (სადარბაზო ბარათს ამოიღებს უბიდან და აწვდის; ლევანი გამოართმევს) და რევოლვერები შევამოწმოთ. (ხელს ართმევენ ერთმანეთს, აფიცერი და ერისკაცი გადიან. ლევანი და მიხაკო იცინიან; არჩილი მათ შეჩერებია).

არჩილი. რა გაცინებთ, თქვე ოხრებო, ხვალ დუელი მაქვს და თქვენ იცინით? ადამიანის ცხოვრება თავიდან ბოლომდე კომედიაა! რაღა ახლა გამომიტყვრა ეს დუელი?

მიხაკო. გაგიშლია ხელი და წარა-მარა უბარტყუნებ ყველას,—აბა რა გეგონა? შეგრჩებოდა?

არჩილი. (გულზე ხელს ირტყამს) ისე ამ ბიჭმა იხაროს, როგორც მე იმას ტყვია შიგ გულში მივაკერო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ახლა მე ეს არ მინდოდა,—ჩემი საქმე სხვანაირათ არის.

ლევანი. რანაირათ?

არჩილი. იმნაირათ, რომ ცოლს ვირთამ.

ლევანი და **მიხაკო.** (ერთათ) ნამდვილათ?

არჩილი. ნამდვილათ.

მიხაკო. ვის?

არჩილი. გამოიცანი.

მიხაკო. მე რითი გამოვიცნო?

არჩილი. (ლევანს) ვერც შენ გამოიცნობ?

ლევანი. ვინც გინდა ის შეირთე,—ოღონდ ფულები ჰქონდეს. ცოლის შერთვა ყოველთვის დიდი სისულელეა, ხოლო როცა ცოლს ბლომათ მოსდევს ფულები, ეს სისულელე შესაწყნარებელია.

არჩილი. საქმეც მაგაშია, რომ ერთი კაპეიკი არა აქვს.

ლევანი. დიდი სულელი ყოფილხარ. კაცმა რომ თავი დაიტყვევო შენის ნებით, ფული მაინც უნდა აიღო.

არჩილი მე ვირთამ ნესტორის ქალს—ლიზას.

ლევანი და **მიხაკო.** (ერთათ) თუ ღმერთი გრწამს?!

მიხაკო. ამ კაცს სწორეთ ძაღლის იღბალი აქვს. Вѣдь она милліонерша!

არჩილი. მერე რა? მაწყენს მისი მილიონი?

ლევანი. ვაი თუ ყელზე დაგადგეს. უჩვეული ხარ ფულების ყლაპვას!

არჩილი. Итакъ господа! ერთი თვის შემდეგ მე უკვე ოჯახის მამა ვიქნები! გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში.

მიხაკო. მივიღებთ, მივიღებთ, ხოლო თქვენც მიიღეთ მხედველობაში, რომ ხანდახან ძველი დრო გაიხსენო ხოლმე ჩვენთან ერთათ (იცინიან).

ლევანი. ერთი ეს მითხარი, კუცკა-მუცკას რას უპირებ?

არჩილი. ხომ არ გინდათ, რომ თქვენ დაგიტოვოთ?

მიხაკო. ძალიან მადლობელი ვართ, მაგრამ ჩვენ ჩვენი კუცკა-მუცკებიც გვეყოფა.

არჩილი. ფულს მივცემ და მოვიშორებ თავიდან.

ლევანი. ჩვენ გვატყუებ, თუ შენს თავს?

არჩილი. როგორ?

ლევანი. დარწმუნებული ვარ, რომ ცოლის ერთგული შენ ერთ კვირასაც არ იქნები.

არჩილი. ერთი თვე რომ გეთქვა, კიდევ მართალი იქნებოდა.

ლევანი. ძალიან კარგი, — თუნდა ერთი თვე იყოს. მაშ რაღას ისტუმრებ იმ ქალს?

არჩილი. რას ლაპარაკობ? ჩემმა საცოლომ რომ გაიგოს, ერთი ისტორია გამოვა. (კარი გაიღება და შემოვლენ გრიშა და კოტე) Ну что? მართალი ვიყავი თუ არა?

კოტე. მთლათ არა. ატლასმა და ნერეიდამ ვერაფერი აიღეს.

არჩილი. ვოლგარმა, ფოკმა, სარმატმა, ნონეტმა, დალმატმა?

კოტე. ვოლგარმა აიღო პირველი პრიზი, ფოკმა და ნონეტმა მეორე; დალმატმა და სარმატმა პირველი.

არჩილი. მაშ რაღა გინდათ? რაც ვთქვი ხომ ამხდარა? მოიგეთ?

გრიშა. ეს თუმნამდე გვერგო ორივეს.

ლევანი. მაშ კარგ ვახშამსა ვჭამთ ამალამ.

არჩილი. არა, ყმაწვილებო, ვახშამი ჩემია!

ლევანი. მართლა, იცით ახალი ამბავი? (არჩილი დაინიშნა.

გრიშა. ეგ ყოველ დღე ინიშნება სხვა და სხვა ქალზე.

ლევანი. არა, მართალს ვამბობ.

გრიშა. შენზე ადრე ჩვენ არ ვიყავით აქ! რაებს სჭორავ!

არჩილი. თქვენ რომ გაგისტუმრეთ, სწორეთ მაშინ წავედი ნესტორის ქალთან, ხელი ვთხოვე და დასტური მივიღე.

გრიშა. არა. ჰხუმრობ?

არჩილი. ღმერთმა შეარცხვინოს ვინც ჰხუმრობდეს.

გრიშა მაშ მოიტა ხელი. (არჩილს ხელს ართმევს) პირობაზე როგორა ხარ? (არჩილი იცინის. გრიშა ხელს

არ უშვებს) ყმაწვილებო! არჩილს პატიოსანი სიტყვა აქვს მოცემული: სანამ ჯვარს დაიწერდეს, ათინის სალამო უნდა გაგვიმართოს შიგ შუაგულ საროსკიპოში. (იცინიან).

არჩილი. ჩემს პირობას ავასრულებ, რა გინდათ!

გრიშა. ფული შენია, განკარგულება კი ჩვენი.

არჩილი. ძალიან კარგი.

გრიშა. როდის იწერ ჯვარს?

არჩილი. ჯერ არა გვაქვს გადაწყვეტილი. ხვალ დუელი მაქვს და იქნება კიდეც მომკლან.

კოტე და **გრიშა.** (ერთათ) რა დუელი, რას ამბობ?

არჩილი. აი გუშინღამ რომ თავი გამაბერტყია კლუბში იმ გაბერილმა, ის მიწვევს.

გრიშა. როგორ აუტანია ის საბრალო წერას!

ლევანი. Дуэль холостыми зарядами! რა ფორსებს აკეთებენ! გმირათაც უნდა თავი დაისახოს საზოგადოების თვალში და სიკვდილისაც ეშინია! სეკუნდანტები გვემუდარებიან, чтобъ вы дрались холостыми зарядами.

არჩილი. Ни за что! რაკი დუელში მიწვევს, დეე, ნამდვილი დუელი იყოს.

მიხაკო. ჩემო ძმაო, თუ შენ ასე გაჟინდი, ის შეშინდება და დუელს სულ დაანებებს თავს.

არჩილი. თუ არ შეუძლია, დაანებოს.

ლევანი ეს ხომ აღარც შენთვის ივარგებს. დუელში იბრძოდაო, იტყვიან და, რაც უნდა იყოს, რეკლამაა- (იცინიან, მიხაკოს) ჩვენ ახლა წავიდეთ და რვაზე შევიდეთ სეკუნდანტებთან (ადგებიან).

გრიშა და **კოტე.** (ერთათ) ჩვენც წავიდეთ. (ხელს ართმევენ არჩილს და გადიან).

არჩილი. (სარკეში იხედება) Везетъ, какъ незаконнорожденному. (მაგიდასთან დაჯდება, ამოიღებს უჯრიდან წიგნს და კითხულობს) ეფრაიმს სამი ათასი, რალლეს ხუთი ათასი, მარდახასი ორი ათასი, რამმერის ორი ათასი, ბანკის ვექსილები ათი, თხუთმეტი, რვა,— სულ ოცდა ცამეტი ათასი; კოზლოვსკისა—ორი ათასი, შერემეტიევისა სამი, —სულ (ითვლის ჩუმათ და ქაღალდზე ანგარიშობს) ორმოცდაათი ათასი. ამ ვალს ხელათ გავისტუმრებ და თავისუფლათ ამოვისუნთქავ. ორასი ათასამდე კიდევ დარჩება. მარტო პროცენტები მეყოფა თამამათ. მართალი რომ ვთქვა, მთელი ჩემი ცხოვრება აქამდე უაზრო, უშინაარსო იყო ამის შემდეგ შინაარსი ექნება და ღვინისა და ქალებს მაინც აღარ გადავალევ ჩემს ძალლონეს. (ადგება და დადის) სამაგალითო ქალია ჩემი ლიზა. ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი, უმანკოებით აღსავსე. (ხელის თითებ იკაცნის. კარი გაიღება და შემოდის ანეტა) აა, ჩემო სიცოცხლე! (მოეხვევა და ხელებზე ჰკოცნის, შემდეგ ტუჩებში).

ანეტა. მე აქ ვიყავი შენთან. მაგრამ სახლში არ იყავი. მერე ისევ გავბრუნდი და აქამდე გიცადე, მეგონა ჩემთან მოხვიდოდი.

არჩილი (მოეხვევა) Куцка ты моя, მოგეწყინა უჩემოთ? (არჩილი დაჯდება და ანეტას მუხლზე დაიჯენს).

ანეტა. არჩილ! გიყვარვარ? (მიჩერებია თვალებში).

არჩილი. (ჰკოცნის) ძალიან, ძალიან მიყვარხარ.

ანეტა. მაშ კუცკას ნულარ დამიძახებ.

არჩილი. მაშ რა დაგიძახო?

ანეტა. რაც გინდა, მხოლოთ კუცკას ნუ. (შეაჩერდება) შენ ხომ ჩემი ხარ, სულ ჩემი!

არჩილი. სულ შენი ვარ, სულ? (ჰკოცნის)

ანეტა. არასოდეს არავისი არ იქნები?

არჩილი. არავისი.

ანეტა. არავინ არ წამართმევს შენს თავს? (თმაში ურევს თითებს).

არჩილი. შენ ხომ შენი არ მოგაკლდება, სხვა რა შენი საქმეა, ჩემო კუცკა! (ჰკოცნის. ანეტა უკმაყოფილოთ ადგება და სარკეში ჩაიხედავს).

ანეტა. იცი, მე რა მინდა ახლა?

არჩილი. რა გინდა?

ანეტა. ის, რომ მთვარიანი ღამე იყოს, მუზიკა უკრავდეს, მე და შენ კი ჩახუტებულები ვიყოთ ორივე ერთათ ნელანელა ვკვდებოდეთ.

არჩილი. მე კი ახლა ის მინდა, რომ რესტორანში ვიჯდეთ და ვახშამს შევექცეოდეთ.

ანეტა. (მიუახლოვდება და შუბლზე აკოცებს) შენი თავი რომ ვინმემ წამართვას, რა ვქნა მაშინ, მითხარი რა ვქნა?

არჩილი, (წამოდგება) წამოდი რესტორანში ვივახშმოთ.

ანეტა. შენ აკი დამპირდი, თეატრში წავალთო!

არჩილი. მართალია, დაგპირდი, მაგრამ საინტერესო წარმოდგენა არ არის ამაღამ, მეც დაღალული ვარ და მშია.

ანეტა პირიქით წარმოდგენა ძალიან საინტერესოა.

არჩილი. მე იმდენათ დაღალული ვარ, რომ თეატრში წამოსვლა არ შეძლია. (ხელს მოხვევს) რესტორანში, წავიდეთ, ვივახშმოთ და მერე მოვისვენოთ (თავს თავზე მიადებს).

ანეტა. (ნაღვლიანათ) მე კი მეგონა, რომ თეატრში წამიყვანდი. (კარებისაკენ მიდიან. ფარდა ნელა-ნელა ეშვება).

განი.

(შემდეგი იქნება),

უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა.

აი დგება სამოსწავლო წელი, მაგრამ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა ვერ გვიქადის ამ წელს სასურველ მსვლელობას. უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა ნელ-ნელა რამდენიმე წლით უკან ბრუნდება. თანდათან ჩვენ წინ იშლება ცნობილი სურათი—უნივერსიტეტის არეულობანი. კვლავ უმაღლესი სასწავლებელი მთავრობის უმთავრეს ყურადღებას

იპყრობს, თითქოს აქ იყოს ცენტრი პოლიტიკურ ოპოზიციის. თუ რეაქციონერებს ვკითხავთ, სტუდენტთა არეულობას „უვიც ბავშთა მღელვარებათ“ თვლიან (იხილეთ წარსული სამოსწავლო წლის რეაქციონური პრესა), თუ მათ მოქმედებას დავუკვირდებით ამ „ბავშთა მღელვარების“ წინააღმდეგ, მაშინ აქ სტუდენტთა მოძრაობაში რაღაც უფრო სერიოზულს დავინახავთ: მთავრობის ბრძოლა სტუდენტების მოძრაობასთან, მართლაც მუდამ აძლევდა ამ უკანასკნელს სერიოზულ მნიშვნელობას და ხშირათ პოლიტიკურ ხასიათსაც.

როგორც ვიცით, შორეული წარსულიდან სტუდენტობა ვერ იტანდა იმ მკაცრ რეჟიმს, რომელიც გამეფებული იყო მეცნიერების ტაძარში და რყვნიდა მის წმინდა დანიშნულებას. მოწინავე, შეგნებული სტუდენტობა ყოველთვის ნათლად გრძნობდა და თავგამოდებით, იდეურ ბრძოლით გატაცებული, შეუპოვრათ იბრძოდა უმაღლეს შკოლის გასათავისუფლებლათ—ავტონომიის მოსაპოვებლათ. და რამდენათ ამ ბრძოლაში სტუდენტობა არღვევდა სამარისებულ პოლიტიკურ სიჩუმეს, რამდენათ ის არ გაურბოდა ძველ რეჟიმს და მის ძლიერებას, იმდენათ ის უახლოვდებოდა მუშათა კლასის მისწრაფებას, იმდენათ მისი მოძრაობაც ღებულობდა პოლიტიკურ ხასიათს. მაშინდელი სტუდენტობა, თავის მასაში არ წაგავდა დღევანდელ სტუდენტობას, სოლიდარობა ურთი-ერთ შორის მეტი იყო და წინამძღოლებიც მაშინ უფრო იტაცებდენ სტუდენტობას, ვინემ ეხლა. მაშინდელ სტუდენტობას არა თუ არ აშინებდა მთავრობის სისასტიკე, პირიქით აღრმავებდა მათში უკმაყოფილებას, აქეზებდა მოძრაობაში და ორკეცებდა ბრძოლის ენერგიას. მაშინდელი სტუდენტობა შეუშინებლათ მიქროდა ბრძოლის უკიდურეს საშუალებამდისინ, მას არ აშინებდა არავითარი შედეგი—რეპრესიები და ხშირათ თავდადებამდისინაც მიდიოდა. ჯერ კიდევ, როცა რევოლიუციის ნაკვერჩხლები არ გაღვივებულიყო რუსეთში, როცა ირგვლივ სამარისებური პოლიტიკური სიჩუმე იდგა, როცა პლევე-პობედონოსცევის რეჟიმი გამეფებული დანავარდობდა და ტოლსტოის უნივერსიტეტის „უსტავების“ პროექტები ნიადაგს პოულობდა, უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზდობა მაინც ღელავდა, იბრძოდა, ტკბილ სიმშვიდეს და მოსვენებას უფრთხობდა მთავრობას.

მთავრობაც შესაფერ ზომებს ღებულობდა მათ წინააღმდეგ; სასტიკათ სდევნიდა მათ, არ ზოგავდა მათთვინ არავითარ სასტიკ ზომებს: უნივერსიტეტიდან გამორიცხვა „ვოლჩი ბილეთით“, ჯარში მიცემა, ციხეში ჩამწყვდევა, ცივ ქვეყნებში გადასახლება—აი, ის ზომები, რომლებითაც მთავრობა ცდილობდა მოესპო ეს მღელვარება უმაღლეს სასწავლებელში და რაც მის (მთავრობის) სიძლიერეს ესარჩლებოდა, ხოლო ნამდვილათ რევოლიუციის ნაპერწკლებს აკვესებდა რამდენათ მთავრობა მკაცრათ მოქმედობდა, იმდენათ იგი უფრო აორკეცებდა სტუდენტთა არეულობას.., ამავე დროს მუშათა კლასის მღელვარებაც სერიოზულ ხასიათს იღებდა. მოწინავე სტუდენტობა მუშათა კლასს შეუერთდა, პირველის მოძრაობა მეორეთა წმინდა რევოლიუციონურ-პოლიტიკურ ბრძოლაში გაითქვიფა და აი, 1905 წელში პროლეტარიატმაც ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მოიპოვა 17 ოქტომბრის თავისუფლება.

რას ვხედავთ ჩვენ ამ დროს უმაღლეს სასწავლებელში? თავისუფლების. გამოცხადების უმალვე უმაღლესი სასწავლებელი იღებს სრულ ავტონომიას, თავისუფლდება პოლიციის მზრუნველობისაგან, დამოუკიდებლათ და თავისუფლათ აწყობს თავის შინაურ საქმეებს. და აი მოიპოვა თუ არა უმაღლეს სასწავლებელმა ავტონომია, სტუდენტობა თავის მასსაში ძირიანათ შეიცვალა. უმაღლეს სასწავლებლის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და მეცნიერების ტაძრებში, რომლებიც პოლიციის ტლანქ ხელებიდან და აპეკუნობიდან განთავისუფლდა, გახურებული, ხალისიანი, სასურველი მეცადინეობა გაჩაღდა. ეს 1906 და 1907 წლებშია. დიდიხანია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს არ ენახა სტუდენტების ასეთი სერიოზული, მუყაითიანი, ენერგიული მეცადინეობა. თავისუფლათ ამოსუნთქვის შემდეგ, სტუდენტობა გულდადებით შეუდგა მეცნიერების შესწავლას. ამას ამოწმებდენ პროფესორებიც, როგორც სტუდენტებთან ლაპარაკში, ისე პრესაშიაც. სტუდენტობა საგნებს საგნებზე აბარებდა. პრაქტიკულ მეცადინობას არავინ არ აკლდებოდა და მეცნიერების შესწავლას ყველა ზედმიწევნით ესწრაფოდა. ამასთანავე სტუდენტობა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა ნაწილს, რომელიც ისე გაერთვა წმინდა აკადემიურ კითხვით, რომ დანარჩენი ყველაფერი გიდაავიწყდა), თავის მოქალაქობრივ, პოლიტიკურ მოვალეობას ერთი წუთითაც არ ივიწყებდა. მთელი სტუდენტობა დაიყო პოლიტიკურ ფრაქციებათ და ყველანი მოქმედობდენ თავიანთ რწმენის მიხედვით, არსდებოდა მრავალგვარი მეცნიერული წრეები, სხვა და სხვა სამეცნიერო საკითხების შესასწავლათ, მოწინავე სტუდენტობა კითხულობდა რეფერატებს, იკრიბებოდენ, მსჯელობდენ-სადღეისო კითხვებზე, ადევნებდენ თვალყურს სახელმწიფო პოლიტიკურ ცხოვრებას. ამასთანავე სტუდენტობა თანდათან აფართოვებდა თავის ავტონომიას. მიდიოდა უმაღლეს სასწავლებლის დემოკრატიზაციის გზაზე, რათა ადგილი ჰქონოდა მასში უფრო ფართო მასსას.

აქვე მინდა აღვნიშნო, მკითხველო, მეორე ფაქტი. ასეთ თავისუფლებამ მთელ სტუდენტობას გადააძრო ის შავი მიუწდომელი ღრუბელი, რომელიც ფარავდა მათ ერთი მეორისაგან. სტუდენტობა გამოძვრა იმ სორეოებიდან, სადაც მათ ეტყობოდათ რაღაც კარ-ჩაკეტილობა, გულ-ჩახვეულობა, და ურთიერთობაში უხამსი მიუკარებლობა. ასეთი მდგომარეობა ახშირებდა მათში ქეიფობას, ლოთობას და მრავალ სხვა გარყვნილებას. მართალია, მაშინ მათი სულიერი მსაზრდოებელი იყო სტუდენტობის „ზემლიაჩესტვოები“, რომლების მი-

ზანი მატერიალურ დახმარებასთან ერთათ იყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური აღზრდა სტუდენტობისა. მართალია აქ იკრებდა თავს საუკეთესო და ცოცხალი ელემენტები სტუდენტობისა და მსჯელობდენ ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ კითხვებზე, მაგრამ მაშინდელ პირობებში „ზემლიაჩესტვოები“ წარმოადგენდა სტუდენტების ორგანიზაციის იმ ერთად-ერთ ფორმას, სადაც შეიძლებოდა მხოლოდ კარჩაკეტილი მოქმედება, ე. ი. მხოლოთ თანამემამულეების გაცნობა და ნდობა, რომ თავი დაეფარათ პრავაკაციისაგან. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ასეთი კარ-ჩაკეტილობა თავის ელფერს, თავის მუხრუჭს ადებდა სტუდენტების პსიხოლოგიას, ჩვენ მაშინ ვერ ვხედავთ ისეთ სასურველ ურთი-ერთობას, საზოგადოებრივ მოქცევას სტუდენტთა შორის, როგორც დღეს, როცა „ზემლიაჩესტვოებმა“ ითამაშეს სათავისო როლი იდეურ მომზადებაში, და გავიდენ სცენიდან; იდეური მომზადება და პოლიტიკური განვითარება სტუდენტებისა გადაეცა უფრო ფართო წრეებს, პოლიტიკურ ფრაქციებს, სადაც იკრიბებიან ერთი აზრით, ერთი სურვილით და მისწრაფებით გამსჭვალული ამხანაგები; „ზემლიაჩესტვოებს“ კი დარჩა მხოლოდ ერთად ერთი მატერიალური დახმარება. აქ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა კავკასიელ სტუდენტების შესახებაც. აი, სწორეთ ამ დროს ზოგიერთ საუნივერსიტეტო ქალაქებში არსდება ნაციონალურ „ზემლიაჩესტვოების“ მაგიერ კავკასიელ სტუდენტების საზოგადოებები, რაც შემდეგში დიდ განხეთქილებას იწვევს კავკასიელ სტუდენტობაში. აქ დიდ როლს თამაშობს ქართველი სტუდენტობა და ქართული პრესის ყურადღებასაც იქცევს ერთ დროს. რადგან ამაზე თავის დროს საკმაოთ ბევრი იწერებოდა, აქ არ შეუდგები ამის გარჩევას, მხოლოდ შევნიშნავ, რომ კავკასიის სტუდენტობის ერთი ნაწილი ამბობდა: მოდი, გავაფართოვოთ ჩვენი ნაციონალურ წრეების მოქმედება, შევერთდეთ კავკასიის ყველა ნაციის წარმომადგენლები ერთად, ძმურათ გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი. დავეხმაროთ ერთმანეთს როგორც მატერიალურ ისე გონებრივ განვითარების საქმეში. ყოველი ღონე ვიხმაროთ ჩვენი მხრის შესასწავლათ. ამისთვის ვიკითხოთ ლექციები კავკასიის შესახებ და ვიმეცადინოთ როგორც საერთოდ, ისე ცალკ-ცალკე—შევადგინოთ ჩვენ ჩვენი ჯგუფები—ქართული, სომხური და სხვ. გავაცნოთ ერთიმეორეს ერთმანეთი და ამასთანავე ვიშრომოთ ყველამ თავიანთ ენაზე, ისტორიაზე და კულტურაზეო. ჩვენ ერთი მხრის, ერთ და იმავე პირობების ხალხი ვართ, ერთმანეთის აზრის—ზნე-ჩვეულებების გაცნობაში დავეხმარებით ყოველმხრივ და ამასთანავე შეერთებულ ძალით ერთმანეთს ხელს შეუწყობთო. კავკასიელ სტუდენტების დიდი ნაწილი კიდეც შეუდგა ასეთ სურვილის განხორციელებას და ზოგიერთ საუნივერსიტეტო ქალაქებში, მაგ. ხარკოვში, დორპატში, ტომსკში და სხვ. კიდეც დაარსდა ასეთი საზოგადოებები. მაგრამ საუბედუროთ ქართველურ კინკლაობამ აქაც იჩინა თავი და დღემდის ერთი-მეორის ხელის შეშლას უფრო უნდებიან.

სვ. კანდ—ი.

(შემდეგი იქნება)

პროვინცია

ფოთი. ხოლერა, ეს აზიელი დაუპატიჟებელი სტუმარი, უკვე მოგვიახლოვდა თავისი ჩვეულებრივ მკაცრ და საშინელ გამომეტყველ სახით. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ის თბილისში უკვე გაჩენილა და რამდენიმე ადამიანიც უმსხვერპლია. აქედან, რასაკვირველია, შორი მანძილი არ არის პროვინციებამდე და ის თავის ტლანქ ფეხებს იქაც შედგამს, თუ ეხლავ თავდარიგი და შესაფერი ზომები არ იქნება მიღებული. ჩვენს ქალაქს ამის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით (გარდა დარიგების ფურცლის გამოკვრისა, რომელსაც უმეტესობა არც კი წაიკითხავდა), არავითარი განსაკუთრებული ზომები არ მიუღია. თუმცა ქალაქს ყავს სანიტარული კომისია, მარა თვალსაჩინო ამათაც არაფერი გაუკეთებიათ. მართალია, სამიკიტნოებში ჩამოუვლიათ და დაურიგებიათ! გადადუღებული წყალი იქონიეთო, მარა ეს არა კმარა, ამით ყველაფერი არ გაკეთებულა. როგორც საჭიროა ადგილებისა და ეზოების სისუფთავე, აგრეთვე სასტიკი ზომებია მისაღები სანოვაგით სავაჭრო დუქნებში, რომ ძველი, სანახევროთ ამყრალებულ ხორცეულობით არ კვებონ მუშტრები, რაც—თითო-ოროლა გამონაკლს გარდა—ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული ჩვენს მიკიტნებს. აგრეთვე აქაც უნდა დაცულ იქნას ყოველ მხრივ სისუფთავე; მოსამსახურეებს კვირაში ორჯელ მაინც უნდა ურიგდებოდეთ სუფთა ფართუკები, უნდა აეკრძალოს ხაზეინებს მოსამსახურეების ისეთ ბინებში დაყენება, სადაც გიგიენური პირობები არ არის დაცული. დიახ, უმთავრესი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული, სანიტარულმა კომისიამ სასტიკათ უნდა იმოქმედოს საზოგადო ანტისანიტარულ და ანტიგიგიენურ პირობების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მან უნდა დაიცვიწყოს ნათლიმამობა, ძმა-ბიჭობა და სხ. და შესაფერი ოქმი შეაყენოს იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. როცა კითხვა ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ეხება, ასეთი საქციელი საპატიოცაა და მოსაწონიც.

კაცია მუნჯაძე.

არჩევნები ქ. ოზურგეთში. რა ღონე არ იხმარეს, რა ხრიკს არ მიმართეს ოზურგეთის რეაქციონერებმა, მარა თავის საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს, და, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებში გაიმარჯვა ხალხის პროგრესიულმა მხარემ. არჩევნები დაიწყო დილის ათ საათზე. დანიშნულ დროზე მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი და დარბაზი სულ გაიჭედა. დარბაზში, სადაც არჩევნები წარმოებდა, სტრაჟებით და გარადავოებით იყო სავსე; არჩევნების დროს ყველაზე ბევრს ლაპარაკობდა ნიკოკი. ნიკოკი ვრცლათ შეეხო „აზილარულ“ მოქმედებას, რომელიც უწინ ჩაიდინეს, და აღნიშნა, რომ უსათუოდ ისეთი კაცები უნდა ავირჩიოთ ხმოსნებათ, როგორიც იყო დღემდის; საჭიროა ისევ ძველი თვითმართველობა დავტოვოთო. რეაქციონერებს სრული იმედა ჰქონდათ გამარჯვების, რადგან პირობები მათ

ხელს უწყობდა, მარა არჩევნები გათავდა თუ არა კენჭები დათვალეს, ოზურგეთის „ყორნებს“ იმედი გაუცრუვდათ. არჩევნებში გამარჯვებული დარჩა ხალხის პროგრესიული მხარე, რამაც თავზარა დასცა რეაქციონერებს.

გრ. პუპიშვილი.

თეატრი.

კვირას, 17 ივლისს, ავჭალის აუდიტორიაში სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ვაზოვის „ოქროს მონები“ დრ. 4 მოქ. და 5 სურ. თარგმანი ა. ბაჯიაშვილისა.

პიესა გერმანიის ცხოვრებიდან არის აღებული და ქართულ სცენაზე პირველათ იდგმება.

როგორც სათაური გვიჩვენებს, ავტორს აზრათ აქვს დაგვანახოს „ოქროს მონები“, ამისთვის მას მიუმართავს მე XIX საუკუნის ფეოდალური არისტოკრატიისთვის და ჩვენ თვალწინ გვიშლის მათ ცხოვრებას, რომელიც ერთი მხრით უკვე წარსულს ეკუთვნის, ბურჟუაზიული საზოგადოება ძირს უთხრის მას, მაგრამ მეორეს მხრით, თვით ეს გარემოებაც,—ბრწყინვალე წარსულის დაკარგვა—ღიდ საგონებელში აგდებს ამ არისტოკრატიას. მავრამ რაკი ცხოვრებას თავისი გააქვს, რაკი ფული—ეს კაპიტალიზმის იარაღი-აუცილებელი საპირო, უამისოთ ცხოვრება არ შეიძლება, ეს არისტოკრატია ახლა ფულს სჭიდებს ხელს და ამ ფულის შემწეობით სურს თავის „ბრწყინვალე წარსული“ ისევ ბრწყინვალეთ დასტოვოს. ამისთვის,—რომ ფული დაურჩეს და უფულობით—წარსულს ჩირქი არ მოეცხოს—ეს არისტოკრატია—თავიანთ შვილებს იძულებას ატანენ, რომ ისეთ კაცს მითხოვდეს, რომელთაც სიმდიდრე აქვთ. პოლკოვნიკი გუსტავ ფონ ბარშტეინის შვილი—ვიქტორი იძულებულია შეირთოს მდიდარი მენდერსონის ქალი მიუხედავათ იმისა, რომ მას სხვა უყვარს... არისტოკრატი ფონვერდგეიმი წინააღმდეგ ხარჯების შემკირეპის, მაგრამ ამავ დროს თავის ერთათ ერთ ქალს აიძულებს გაყვეს მდიდარ ბრაუერს... „თუ შენ არ შეირთავ ბ. ბრაუერს, მაშინ შენი ძმა იძულებული იქნება განშორდეს სასწავლებელს“.. „მე არ ვლაპარაკობ შენ შესახებ, არ ვლაპარაკობ ამ ერთ-ერთ იმ სირცხვილის და დამცირების შესახებ, რომელიც მოელის მთელ ჩვენ ბრწყინვალე წოდებას“.. „დავვიხსენ ამ სირცხვილისაგან... შეიბრალე შენი მოხუცი მამა“... ასეთი სიტყვით მიმართავს ვერდგეიმი თავის ქალს.. ასეთ ზომებს მიმართავს არისტოკრატია, რომ ფული იშოვნოს, „ბრწყინვალე წარსული“ უმწიკლოთ შინახოს.

საზოგადოთ პიესა კარგია. რაც შეეხება თამაშს უნდა შევნიშნოთ, რომ ის ძალიან სუსტი იყო. თითქმის არც ერთმა როლი არ იცოდა ხეირიანათ.

განსაკირველია სწორეთ ჩვენი სცენის მოყვარეების საქმე! ხელს კიდებენ სერიოზულ პიესას და როლსაც არ სწავლობენ. ჩვენ ეგვი შეგვდის, რომ ისინი აფასებდენ სახალხო თეატრების მნიშვნელობას, თორემ არც ასე აბუჩად აიგდებენ მაყურებელს: ბატონებო! გაიკეთ, რომ **როლის სწავლაა საჭირო!** გაიკეთ, რომ სუფლიორის ამარა არ უნდა გამოვიდეთ სცენაზე! ნუ! თუ **არ**ასოდეს არ მიაქცევთ ამ გარემოებას ყურადღებას

უკანასკნელათ საჭიროა აღინიშნოს, რომ პიესა ძალიან ცუდი ნათარგმნია, საზოგადოთ ავლაპრული ენა. მეტ ადგილს იკავებს თარგმანში და კარგია თუ ამ მხრით გაუმჯობესებას ატარებენ...

21 აგვისტოს ბიბლიოთეკის ცარიელ „ბარტელ“. კონსერვატორიუმ მეჯლისიშვილის“ რეპერტუარით დადგმული იქნება. ნახუკრიშვილის ცნობილი პიესა „ანანიერანი“. თუ რა ლეგენდარული და სერიოზულია აღნიშნული პიესა, ამაზე აქ არაფერს ვიტყვით, რაკი ნ. საზოგადოება კარგად იცნობს მას. მხოლოთ, ყურადღების ღირსია საზოგადოებისაგან ის ვაუბატონთა მოქმედება, რომელთაც ძალა არ შესწევთ, მაგრამ მაინც კიდებენ ხელს ასეთ პიესას და მით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. ბ-ნ მეჯლიშვილმა „თავის დასით“ გააწყობა ეს პიესა. გარდა უაზრო ყვირილისა და ხანდისხან მანჭვა გრეხისა, მათ არაფერი დაუნახავთ. უმთავრესი როლები ქონდათ ისეთ პირებს, რომელნიც სცენაზე გამოშვების ღირსიც არ არიან.

დაბალი როლების ამსრულებლებზე კი არას ვიტყვით. არას ვიტყვით აგრეთვე მასზე, რომ ომის დროს მრავალი ჯარის ნაცვლათ ათი-თხუთმეტი კაცი გამოდიოდა და მასაც, ბ. მეჯლიშვილი ხელით ერეკებოდა ხანიქით და ხანაქით, რადგან მათ არაფერი გაებებოდათ. ამის გარდა, არ ვიცით რა მოსახრებით, რამოდენიმე ადგილი პიესიდან გამოეტოვებიათ. გამოტოვებული იყო მაგ. ის ადგილი, სადაც ანნა და სალომე შემოდიან ომის ველზე, გამოტოვებული იყო აგრეთვე უკანასკნელ მოქმედებაში ანნას სცენაზე გამოსვლა. აფიშაში მსხვილი ასოებით იყო გამოცხადებული პიესაში 150 კაცი ღებულობს მონაწილეობასო, აქ კი როლებს სრულიათ სტოვებენ...

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ანტრაქტებში ზურნა დაუკრავს, და ქ. ნ. მაჭავარიანისა და ბ. გოცირიძის მონაწილეობით ლეკური გაიმართებაო, მაგრამ, უკანასკნელ მოქმედების წინ საზოგადოებას ეუწყა, ზურნა ვერ ვიშოვეთ და ამიტომ ლეკური არ შესდგებაო...

ნუ თუ ბ-ნი გოცირიძე, რომელსაც პატივს სცემს საზოგადოება. ხელს უწყობს ასეთ ვაუბატონებს ხალხი ატყუილონ?..

წესრიგზე არაფერი გვეთქმის; სხვათა შორის ერთი ვაუბატონი ისეთებს გაჰკიოდა, რომ ხალხს შიშით გულს უხეთქავდა...

პარნასი.

შინაარსი: 31 აგვისტო.—ილ. ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე, **ივ. გომართელისა.**—ბზა-და-ბზა (ფართე თვითმართველობა თუ ავტონომია?).—სამწუხარო კი არა სასიხარულო არის, **ოსისა.**—სხვა-და-სხვაამბები ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი,—სპარსეთი.—დავჩუმდე (ლექსი), **ალ. გერსამიძისი.**—მაღალ წრეში, (პიესა) **განისა.**— უმაღლეს სასწავლებლის მდგომარეობა. **სვ. კანდისა.**—პროვინცია ფოთი, არჩევნები. ქ. ოზურგეთში.—თეატრი—ბანცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი**

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	5 მ. — კ.
ნახევარ წლით — —	3 მ. — კ.
სამი თვით — —	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ. — კ.
ნახევარ წლით — —	4 მ. — კ.
სამი თვით — —	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სოლოპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ. Редакція Чвени Квали. Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.